

№ 10, 1947 წ.  
ბაზოცემის წელი XXIV.  
ფასი 2 მან.

# ნიაზი


თბილისი.  
ბაზოცემის წელი XXIV.  
„კომუნისტი“ ლიტერატურა

ნახ. ა. კანდელაკისა

ნაღრი კაბი



- ჩვენი ქიტა ნაღრი კაცია!
- ვალდებულება უკვე გაანაღდა?
- ვალდებულებაც გაანაღდა და ობლიგაციებზე ხელმოწერის თანხა ნაღრი შერთანა.



## ორივე ფრონტზე

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ზოგიერთმა სტახანოვიელმა მუშამ მეოთხე სტალინური ხუთწლედი ერთ წელში შეასრულა. მუშაობის წინა წარმატებით ასრულებენ გეგმებს და ეხმარებიან სოფელს სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთებაში.

ნახ. ე. ლალისა

სინამდვილიდან



სამაგალითო ორის ღროს  
1. ასე იბრძოდა იგი სამშობლოს მტრების მოსახპობად.

მშვილკიანოვის ღროს  
2. ასე იბრძვის იგი სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის.





— იცი, ჯონ, მამაჩემმა უტურნალისტობა დაიწყო!  
— რა დაწერა?  
— ჯერ არაფერი დაუწერია, მაგრამ გუშინ ამბობდა: საბჭოთა კავშირი წუნარი ოკეანის დაშრობას აპირებს და მთვარეზე დესანტის გადასხმას ცდილობსო.

კლიერ ტირილა

ზოგიერთი მტს-ი სუსტად ემზადება მოსავლის აღებისთვის.

გაზეთებიდან

ბარკში მოსთქვამდა ტრაქტორი, ატირებული ძალზედა: ღერძმრუდებს, თეძომოტეხილს, ცრემლი ეკიდა თვალზედა! ამბობდა: ჯაჯა გადამხდა, მოსაყვან მოსავალზედა, მაგრამ ხეობრად დამტოვეს, ვერ გავალ მოსამკალზედა,— არ შემაკეთეს დროულად, გული იმაზე მწყდებაო,— რომ დიდ მოსავლის აღება უჩემოდ დაიწყებო.

ვარიძე

დირექტორთან ვიჯექი. იგი დროგამოშვებით ასწევდა ხოლმე თავს ქორ-  
დულად გამოიხედავდა, შემდეგ კვლავ ააწრიპინებდა კალამს. რაღაცას წერდა  
ქალაქზე, ფიქრობდა, ჩემად ბუტბუტებდა და ცდილობდა წერაღებდა.

გვერდით მჯდომ ბუღალტერთან მისი თანაშემწე მივიდა, მორიდებულად  
მიაწოდა ქალაქი და მიმართა:

- ივან გრიგოლიჩ, არ გამოდის.
- რა არ გამოდის, ბიჭო, შე ღვთის გლახა!
- ეს ციფრები, ივან გრიგოლიჩ.

ბუღალტერმა ჩვეული სიმშვიდით ჩამოართვა მეღონით აჭრულბული ქა-  
ლადი, ჩოთქი ააჩნაკუნა და ერთი წამის შემდეგ თანაშემწეს მიმართა:

- აჰა, წაიღე და ჩაწერე.
- თანაშემწე მოსცილდა და მე დირექტორს მივმართე.
- თუ შეიძლება...

— ავანსისთვის თუ ხარ, ტყუილად ნუ მომმართავ.

განმარტება დავაპირე, მაგრამ კვლავ შეგვაჩერა ბუღალტერთან მისულმა  
თანაშემწემ:

- ივან გრიგოლიჩ, რომელ გრაფაში შევიტანო?
- დებეტია, ბიჭო, არ იცი?!
- კი, მაგრამ რომელ გრაფაში შევიტანო?
- რომელ გრაფასაც თავში დებეტი აწერია. რა დაგემართა!
- თანაშემწე ბუღალტერს მოსცილდა და მე კვლავ დირექტორს მივმართე:
- ბატონო ამბაკო! ბიულეტენი მოვიტანე.
- დატოვე და ზევ გამოიარე.— იყო ყინულივით ცივი პასუხი.

კვლავ ბუღალტრის თანაშემწემ შეგვაჩერა:

- ივან გრიგოლიჩ, მაინც არ გამოდის...
- ბუღალტერმა მშვიდად ჩამოართვა ქალაქი, სათანადო ციფრი სათანადო  
გრაფაში შეიტანა და ჩოთქის ჩხაკუნით განაგრძო.

— ბატონო ამბაკო! თითო რამე ხომ არ... — პაუზის შემდეგ წინადადების  
ნაწყვეტით მივმართე დირექტორს.

მან ოცდაათი გრადუსით ასწია თავი, მის თვალებს მწუხრის ფერი შეეც-  
ვალა და მომიგო:

- კი, მაგრამ, ბიჭო, დრო რომ არა მაქვს!
- ბატონო ამბაკო, სამი კვირაა ვწევარ, ძლივს წამოვდექი. მართალი  
გითხრათ, მომენტარა და მარტო ხომ არ შევალ! იქნებ ივან გრიგორიჩიც...
- ვანიჩქა, ბიულეტენი გამოუანგარიშე,— კომენტარის გარეშე გასცა გან-  
კარგულება დირექტორმა.

ოცი წუთის შემდეგ მე და დირექტორი ბუღალტრის სადღეგრძელოს  
გვავამდით.

— ბატონო ივანე, თქვენ ძალიან კეთილი კაცი ხართ... აი, მაგალითად,  
სხვა, თქვენს ადგილას, ისეთ თანაშემწეს, თქვენ რომ გყავთ, მგონი არ გააჩე-  
რებდა.

— მაგას, ვინ იცის, რა ისტორია აქვს, ჩემო კარკო,— სთქვა ბუღალტერ-  
მა და უკითხავად განაგრძო.— ერთხელ ერთ ქაიფში ვიყავი. ნაცნობმა დამპატიჟა,  
მოგესწინება ხათრიანი კაცის ამბავი, უარი ვერ ვუთხარი. პურმარილი ისეთი  
იყო, მარტო არტელის თავმჯდომარის ოჯახში თუ ღინახავს. მაშინ საბუღალტ-  
რო კურსების მასწავლებელი ვიყავი და პატივისცემაც მეტი მქონდა... ღვინო  
კახური იყო და მალე მოგვედო... დალიე, რატომ არ ცლი?

— გმადლობთ, ბატონო ივანე, ჯერ კიდევ შეუძლოდ ვარ და ბევრის და-  
ლევა არ შეიძლება.

— ღვინო მოგვედო და ქეიფი რომ დასასრულს მიუახლოვდა, ცეკვა დაიწ-  
ყეს. მეც მაცეკვეს და ბოლოს ვიღაც გამომეთამაშა, ამ ოთახში ახალშემოსული  
ახალგაზრდა. ვუყურობ პორტნიორს და ძალიან ნაცნობი სახეა. ცეკვა დავამ-  
თავრე, მასპინძელს შევეკითხე ამ ახალგაზრდის შესახებ. „ჩემი ძმისწულია“,  
მითხრა მან. მეწყინა, მაგრამ ეს წყენა რა იყო, წყენა შემდეგ უნდა გენახა.

— ბატონო ივანე, კეთილ კაცს გაუმარჯოს! — სიტყვა ჩამოვართვი სადღე-  
გრძელოთი.

მან სწრაფად დალია სიკეთის სადღეგრძელო და განაგრძო:

- მეორე დღეს სამსახურში წერილით მომადგა ის ახალგაზრდა. „ივან  
გრიგორიჩ, ჩემს ძმისწულს ერთ საგანში უჭირს თურმე და აბა, თქვენ იცით“,  
მწერდა მამიდამისი. რა გაეწყობოდა, გავუკეთე.
- პურმარილს არ ეღალატება.— მივუგე.

— პურმარილი კარგია, მაგრამ სამაგიერო პატივისცემასაც ხომ აქვს სა-  
ზღვარი? — სთქვა ბუღალტერმა და განაგრძო,— ერთი კვირის შემდეგ ახალი  
ბარათი მომიტანა: „გრიგორიჩ, ჩემს ძმისწულს სტატისტიკაში უჭირს და აბა,  
თქვენ იცითო“, და მოცეკვავე პარტნიორის ბილეთი სულ ფრიადებით აჭრელდა.


- საწყალი ახალგაზრდა! — ვუთხარი მე.
- საწყალი ის კი არა, მე ვარ! — მომიგო ბუღალტერმა და ღრმად ამოიოხრა.
- რატომ, თქვენ ხომ მოიცლიეთ და რა გენაღვლებათ, რომ მან თავისი  
თავი დაღუპა და სამსახურში არსად მიიღებენ.

— სწორედ ეგა ჰქვავს,— ჩაერია დირექტორი,— ის ყმაწვილი შავისი თა-  
ნაშემწე განლაგეთ. ბოლოს კადრების განყოფილებიდან მოგვიტანა ბარათი და  
ივან გრიგორიჩი მისი მუღმივი შეფი შეიქნა...

ათი წუთის შემდეგ პოლიკლინიკისაკენ მივამოხვებდი და ჩემდა უნებურად  
იმ ახალგაზრდა ექიმზე ფიქრობდი, მე რომ მმკურნალობს:

- ვაი, თუ იმასაც ჰყავდა ასეთი შეფი!





— მეც ხუთოსანი ვარ და მამაჩემიც.  
— როგორ, მამაშენიც ხუთებზე სწავლობს?  
— არა, ხუთ ადგილას მუშაობს!

### შარშან მომხდარი და...

(ფელს ზოგიერთი ღირებულების სახელმძღვანელოდ გამოსადები)

ღირეკტორმა—ღირეკტორსა  
საუბარი გაუბა;  
მსურს გაიმბოთ თუ რა თემა  
ჰქონდა იმათ საუბარს:  
ღირეკტორმა უთხრა:—ძმაო,  
ღირეკტორო სვიანო,  
შეკითხვა მაქვს და, პასუხი,  
გთხოვ, არ დამიგვიანო:  
გაზაფხული მიიწურა,  
კარზე მოდგა ზაფხული,  
საზაფხულოდ, სასეზონოდ,  
შენ რა გაქვს განზრახული?  
ღირეკტორმა—ღირეკტორსა  
უპასუხა უმალა,  
თვისი ზრახვა და გეგმები  
სულაც არ დაუმალა:  
— მეო,—უთხრა,—ამ ზაფხულში,  
ასეთი მაქვს გეგმები:  
უხვ მოსავლის ასაღებად  
სოცმეჯობრში ვებმები!  
ჰექტარებში ცენტნერები  
უქვე გამოვფავლე და  
მისი რეალიზაცია  
მსურს დავიწყო ხვლიდან!  
კომბაინებს ყველა სრახნი  
შეგუმოწმე პირადად,  
ადრინად შევაკეთე,  
არც დამიჯდა ძვირად,  
საწვავი და მუშა-ხელი  
უქვე მოვიმარაგე;  
ახლა ვაგებ თვით მინდვრებში  
ფარდულებს და ბარაკებს,  
ტრანსპორტიც ხომ წესრიგში მაქვს,  
მსურს ბელდებიც გავმართო,  
რომ ზაფხულის ყოველი დღე  
აზრინანად წარგმართო..

—  
შემკითხველმა ღირეკტორმა  
მოიწმინდა ოფლი და  
მოპასუხე ღირეკტორსა  
უთხრა ამოხვრითა:  
—ა-ა-ა! მართლა? (მოიფხანა  
თავის კოსრო-მელოტი).  
— მე კი—ყველა ამის გამო,  
ღირეკტორებს ველოდი!  
გამოდის, რომ სამზადისი  
თვითონ უნდა დამეწყო  
და ძველ ჩამორჩენებისთვის  
ჩქარი ტემპით დამეცხო!  
კაცი კაცის ხილიაო,—  
ნათქვამია, ხომ იცი,  
შენ გიშველა ღმერთმა, ძმაო,  
რომ იღვა მომეცია..  
—  
მეისვე კრება მოიწვია  
იღვით აღჭურვილმა,  
და იმდენად ააღვლა  
სამზადისის წყურვილმა,  
რომ ხელქვეით თანამშრომლებს  
მაგრად დაუბატანა,  
საყვედურით სავსე სიტყვებს  
მუქარაც დაატანა:  
— იცოდეთო,—ყველას უთხრა,—  
ჩამორჩენა არ ვნახო!  
მცონარებო, ყველაფერი  
მე უნდა გიკარნახოთ?  
თავოსნური თაოსნობა—  
აი რაა მთავარი;  
თაოსნობით იზომება  
კაცის ნამუშევარი.

დატრიალდით, შეაკეთეთ,  
გაამზადეთ, დაგვემეთ,  
თორემ ცხელ დღეს დაგაყენებთ,  
ალარ ვიტყვი სხვა ზედმეტს..  
—  
დღე დღეს მოჰყვა და ზაფხულის  
დადგა ბაბანაქება,  
ღირეკტორმა კიდევ სცადა  
„გადალაპარაკება“:  
ჩახველებით უთხრა:—ძმაო,  
ღირეკტორო სვიანო,  
შეკითხვა მაქვს და, პასუხი,  
გთხოვ, არ დამიგვიანო:  
ვცდილობ შეკეთების ნაკლი  
მქონდეს გადალახული,  
მსურს გავიგო—ზაფხულისთვის  
სხვა რა გაქვს განზრახული?  
რადგან აზრის მოცემაში,  
ჩემთვის გზა და ხილი ხარ,  
ეგებ მითხრა—აგარაკზე  
ხად და როდის მიდიხარ,  
რომ ხანდისხან შეგვხვდეთ ხოლმე,  
მწვადებით და უანწებით,  
თორემ ცხელა და, ხომ იცი,  
ორივე მოვიქანცებით.  
—  
მან მიუგო:—კომბაინებს  
გუგუნი აქვთ ქერებში;  
ყანა უქვე შემოვიდა,  
ღელავს ოქროს ფერებში,

ყველა წუთი გეგმაში ზის,  
რადროს აგარაკია,  
განა ყანა შენ დაგიცდის?  
ეგ რა ლაპარაკია?  
—  
შემკითხველმა ღირეკტორმა  
ჩახველა მწყურალადა,  
საფეთქლებზე მონადენი  
ოფლი შეიმშრალა და  
უპასუხა:—ა-ა-ა! მართლა?  
ასე სჯობდა, ხომ იცი,—  
შენ გიშველა ძმაო, ღმერთმა,  
იღვა რომ მომეცია!  
—  
ისევ კრება მოიწვია,  
კრებას დაუბატანა;  
ცნობად და სახელმძღვანელოდ  
მუქარაც დაატანა!  
მაგრამ უმალ რატომ შეწყდა  
ნათქვამი ნაჩქარები?  
—უტბად ცენტრის კომისიამ  
შემოალო კარები,  
და რაც იმ კრებაზე მოხდა,  
აი რაა მთავარი:  
თაოსნობით შეაფასეს,  
კაცის ნამუშევარი!  
შეფასებას ასე მოჰყვა  
შედეგი და მორალი:  
იმ კრებაზე ღირეკტორმა  
დაამღერა „ხორალი“,—  
კრებიდან კი გამოვიდა  
ის... ნადირეკტორალი.

ფარსადანი





— გინიშნავთ ხუთმეტ აბაზანას, დაკარგვებთ, აგრეთვე, ხუთმეტჯვარ მასაჟის მიღებას. — მასაჟზე ნუ შეწყობდებით, იქნაო, ყოველდღე ტარებათ მთელ ხოლმე!

### ღია წერტილი თბილისის თეატრების აღმინსტრაციას

სალამი ამხანაგო დირექტორებო, დირექტორთა მოადგილეებო და აღმინსტრატორებო.

ჩვენს რედაქციამ წერილები მიიღო მეტწილად, მწერლების, მხატვრების, კონსერვატორებისა და ჩვენი ქვეყნის სხვა წარჩინებულ ადამიანთაგან, ჩვენი ერთ-ერთი დავაფრთხილებითი უმთავრესი, რის თქმაც მათ სურდათ თქვენთვის და აი როგორც გამოვიდა ეს წერილი:

„ჩვენდა სახელმწიფო ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ადამიანის ღვაწლი და დამსახურება ღირსეულად დაფასებული. ამიტომ ჩვენ მოუწმინ ვართ ბევრი დღესასწაულებრივი ზეიმი, საიუბილეო საღამოებისა თუ წინამძღვრებისა სახით, მაგრამ ჩვენ გესურს არა მარტო მოწმინ ვიყოთ, არამედ დანსწრნიც ასეთი საღამოებისა.

სამწუხაროდ ჩვენი სურვილი ყოველთვის როდი იხსნა ზრთას, ყოველთვის როდი აქვს ბედნიერება ბევრ ჩვენთაგანს თქვენს დარბაზებში მოხვედრისა.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ სამაბოდ ბევრნი ვართ, რაც თქვენთვის უსალოოდ ქმნის უხერხულებას, მაგრამ ჩვენ ისიც იცით, რომ ამხანაგები, რომლებიც ჩვენზე ცაცილებით მოვაგარიცხივანნი არიან და რომლებსთვისაც სწორად ბოროტეც კი პურის-ქმის გაცილებით დიდ სიამოვნებას, ასეთ საღამოებზე ჩვენზე ადვილად ხედვიან.

ჩვენ თუ ბოლეთის შვიცისათვის თეატრებში საქართველოში უმეტესად მისეულად არაერთხელ ვხვდებ, ისინი მანებით მისვლითაც არ სწაულებიან, ისე მივითმევათ ხოლმე ბოლეთში, ჩვენთვის თუ ტელეფონის მილი გაქვრდებით და სასადაცლია, მათ, პირებით, ურეკავენ, თხოვენ, რომ თეატრში მოხარხარდნენ და გასაღებლად დაამშვენონ.

ჩვენ ვინცობთ ამ ამხანაგებს: ზოგი მათგანს საწყობის გამგე, ზოგი მეღვინე, თუ დასურული მალაზიის დირექტორი.

მერე რა უფრო, რომ ისინი მოაპარტოთ, ისინიც ხომ საბჭოთა მოქალაქეები არიან, მაგრამ ისინი წარმოებულნი არიან უნდა გამოიქმნოს რომელიღაც ასეთი ამხანაგი საუფროსი საქმე, მაშინ, როცა უფიქროსი ზოგერთი თანამოღვეწე მეგობრის ქანდაკის ბოლოვსაც არ აბრძობენ!

ამაობენ, ამ რწოდნებზე თუ წინ, ერთერთი წლებადღეს საიუბილეო საღამოზე თბილისის რომელიღაც მახარის დირექტორის, როცა სკანზე დაჯდომას უყვით, რაღაც სისწუქნის გამო ერთზე ვერ დადებთ, რაღაც მარცხზე სკანზე გიტყობიან.

ჯანდაბას სკანის გატყობა: ჩვენ აქ ზარბაზის მარცხზე სკანზე გიტყობიან, კობთ, ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ როცა ამ ამხანაგს ოთხ დღისის მი-ღვითი ჰქონდა, ვაირო ბევრი უფრო ღირსეული ადამიანი დარჩა.“

წერილი ასე გაგვიძღვრებოდა და შეიძლება ბევრი რამ ისეთი თქმულიყო, რის გამოტყობაც მინც და მინც სასიამოვნო არ იქნებოდა.

ამიტომ აქ ვუყვებთ მართას ერთი მივით, რომ ზემუდან ჩაუწყველად აღიკვეთება ეს უწყობიობა!

პატივისცემით თქვენი 60A580

## ახალგაზრდა მწერების შეკრება

ამობდნენ საქართველოში, სადაც ვარდის ზურქს ჰპოვებდით, ყველაგან ყელმოდერებული ლექსებს თხზავდაო პოეტი. და განა ვსაკვირია დღეს, ზღის ასე რომ უხარის, მოვიდნენ, ერთად მოზღვდებდნენ მგონსნები ახალბადნი?! ისინი მარტო ბუნებულებს და ვარდის ზურქებს კი არა, ბარბადეფიროდ ველ-მინდორს, ათათუხის ანებებს შრილის, ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს, სათელს რომ ასდევს სართული, თავს ევლებიან, უმღერენ, ამკობენ ტებილი ქართულით. და ჰა, შეგოკრებენ თბილისში მზღვანებელი გულებით, ახალი საქართველოს ახალი ტრადიციებით. ჩვენში რომ დარჩეს, ბევრ მათგანს ჯერ კვლავ ბლომად აქვს ნაკლია, ბესო ქვეტრის თუხის არ იყოს, დასუშვებაც აქვლით. „ზოგმა ათი წლის წინადაც თავი დაწვედა გვიანა,

დღესაც დაწვებობზე თებზე გამოფრია ჰქოლარ, ზოგზოგი გულსაც ვაბეჭურ გულის ანს, თათობახანდ ვას მწერლად ვახსოვებთ. თუ ჰქობდა რისას სწავლობს, რა საქმიანია ვარ უტხო ერთი თუ ან კარვად ენა ქოი, გეტყვის: — გეტყობოდა, რას ამბობა, რა ზედებს! რის უტხო ენა, ჯანა წერა-კითხვაც არა. სამ დღე და ლამაზულად მტერობთა გრთოვებთ, ბევრმა მსოფმანალობა სიტყვის წარმოთებთ. ქუეც ასწავლეს, შრომა დაფასებდაო ათა ერთმა კი მოიხედა ზურგილიდის ანა: „თუ კარვად ჩაუდებთ ის პრი მუღამ ვაა, რომ ბევრ ცუდსაც ცუდი სჯობს, ცოტა კარვს ბევრისა.“

ზოგმა სიტყვა: უნდა შეგვეცვალოთ და ნუ ივიყვებით ამას: „ის ურჩენენ მარულს, რომ შვილი სჯობდეს მამასა“. ვინ მოსთქვამს რას არ ამბობდნენ, ამბავს მართალს თუ მოქოროლს და კათედრებზე ბოძებენ. დღესაც კვება მოაზრობს. მაგრამ ნიანება, სჯობს ოქციეს, სხანგლო ვერა ნახა რა, სამ დღე და ღამეს დარბაზში კარვად ვერც ვაიხანობარა, რადგან დიდი თუ მატარა იყვნენ მუღამ ათებულები, ერთი ფერით თუ ოცენით სტვადდნენ იმითი გულში.

ახალგაზრდა, დღეს როცა წინ ვახ მოგვლით დილით, მინდა რომ გულით გადმოვტეოთ ერთი სურვილიც ნიანება: ვახ დიდი შრომით სათელი მუხლმარჯულად გადგებლობით, მალე თქვენს შორის ქართველი თუმორისტიც გვეხასი.

ქანი



1-ლი მსმენელი—ბაა, წაიკითხე, ხვალ რა ხაგნებში გვიქნება შეკრებები.

2-ამ მსმენელი—პირველი ვაკეთებო—სახვადო ფერმაში მასწავლებლების ღირებნათვის რაციონის შედგენა და კვება. მესამე ვაკეთებო—მასწავლებლების ზოხტრების მორწყვა და გა-მარგვლა.

1-ლი მსმენელი—კმარა, მართლაც ბუჯთაოდ გავსტადინებს ჩვენი მასწავლებელი.

### ქალი ქანაღალიდან

(იპოვიო, „ნათლის ფრკადლი“)

ერთმა კაცმა სასტუმროს კარები დაარბუნა შეუღამისას.

— ვინა ხარ? შენიღდან ჰქობთა პატრონა. — თეოფილე ვარ, თათქარიძეს ძმა, გიორგი მოურავის დის-წული, თეოდორეს სიძე და კნენინა ანიკოს მძისწული. — უკუჩაზად, მაგდენის სულისათვის ალაგი არა გეკაცსო, ვამოსამხებს შიგნიდან და კარები არ გაუღვს.

სასმართლოში ერთ მოხუცეს ეკათებუა მომივიარო: — რა გეგომარეობაშია ჩემი საქმე? — თქვენი საქმე საქმეშია ჩაქერებული.

ერთს მსახიობ ქალს ჰქობეს: — როგორ შეასრულეთ წუხტლის თქვენი როლი? — რა მოვასხნოთ, ჯერ გუხუთები არ წამიკითხავს. მე ყო-ველთვის გუხუთებიდან წეტკალიობთ, თუ როგორი ვასრულებ ხოლმე როლებსაო.

ორი რაველი შეხვდა ერთმანეთს. — გამარჯობა ივანო. — ქვე ღმერთმა გავიძირაო, ზე! — ქვე მოხარეს მოკვლია, შენ მოკვდი თუ შენი ძმა? — ჩემი ძმა, ჯი. — ქვე მიაბა შედა ჩემმა ღმერთმა.

სიკვდილი დასასჯლნი გამაზღებულნი იყვნენ ჩამოსახარო-ბად, რომ უცებ სახრამოვლსთან თავმყაროდ ხალხში შევირა-გაფთარებულნი ხარი და რქებით ვახს იწაღავდა. თაქვარდაც-მულთა ხალხმა ყვირილი მორთო. ერთმა ჩამოსახარობა კაცმა უთხრა მეორეს: — კარგია, რომ ჩვენც ხალხში არა ვართ, თორემ ხარი ჩვე-ნამდე მიაღწევდა და ცუდი საქმე დაგვემართებოდა.

### ცნობიერება

ნახ. ი. ბრედლაჰისა



— დედა, ხალხიდაც ეს ხსუცი ძიებენ? — ახალგაზრდა მწერლებს კონფერენციაზე, შვილო.



ერთი შვილი მყავს, რა ვუყო,  
მთელი დღე დარბის, ბურთაობს,  
ბევრი ვუშაღე, არ იშლის,  
თვით მიაჩნია უდაოდ:  
სხეულის გაჯანსაღებას  
ბურთის თამაში უნდაო.  
და გადავწყვიტე ერთბაშად  
ყოველგვარ ეჭვის გარეშე.



(ბავშვებმა რომ გამაწვალეს  
ნე აქ ავიღე რევანში) —  
ვძებნე, ვძებნე და ვიპოვე  
ბებიჩემი მჭუნვარი,  
გვერდით ოთარი ესკუბა,  
მზე აცხუნებდა მცხუნვარი,  
აქ თეკლევც იყო, თამარიც,  
ეთერიც ყვლმოდლებით,  
მორკმულად იჯდა ლევანი  
თეთრი, ქათქათა წვერებით, —  
ხედ არ შემხედეს, გამწიეს  
— სად დაეჩვიე ბორიას?  
შეხედე, ბურთს რომ მიაფრენს  
პაიჭაძეა ბორია...

\* \* \*  
თბილისში უფრო ჩამოცხა  
გადა ბული და თაკარა,  
მეც მომენატრა წალვერი,  
და ჩემი ბიჭი პატარა.  
წალვერში ჩაველ წვლებით,  
გრილმა დამქროლა ნიაგმა,

გადაქორილმა ხეებმა  
მომარდილეს და მიამა...  
დიდის ლხენით და ხალისით  
კენობის აღმართს ავეყვი...  
გავგიჟდი!.. აქაც ბურთია,



შვილი წალვერში გავგზავნო,  
იქ ისე ვერ ითარეშებს,  
გაჯანსაღდება და შემდეგ  
ისწავლის უფრო ბეჯითად.  
ეს ფიქრი გულში ჩამეჭრა,  
ლომევიტ შემომეჭრა...  
ჯანსაბინისტროს მივადექი,  
იქა მყავს ერთი ნაცნობი:  
— ხომ იცი, მომკლა იმ ბავშვმა  
თავის ბურთით და ანცობით —  
ეგებ როგორმე მიშველო  
და მომცე ერთი საგზური!  
ჯერ ჩუმად ჩაიჭირკილა,  
მერე მიბოძა დასტური...  
გამოვექანე შინისკენ  
ამაყად, ჩქარის ნაბიჯით;  
ქუჩაში კვლავ ბურთაობდნენ  
იმ ჩემი ბიჭის ძმაბიჭნი, —  
ბურთი წავსტაცე... იჭყივლეს  
და წართმევასაც ჩემობდნენ,  
ჯერ „ძია-ძია“ მიძახეს,  
მერე ყოველმხრივ შემობოქეს...  
ერთი სულ პაწაწკინტელა,  
ბატის ჭუკივით პაწაწა,  
მკერდზე შემახტა და ბურთი  
ელვის სისწრაფით ამტაცა —  
გაიგდეს, გაიჯირითეს,  
გახშირდა „დარტყმა“ ჩქარ-ჩქარი!  
მე ხანამშრალი დამტოვეს,  
თავად კი მორთეს ხარხარი...

\* \* \*  
შინ მოველ გაჯავრებული...  
კარის გამღები არ არის,  
ჩემი მეზობლის თალიკო,  
თვით პედაგოგი თამარიც,  
გამოკრეფილან სახლიდან —  
ირგვლივ დუმილი დამდგარა!  
ვხედავ — ეზოში ბურთაობს  
სამი წლის ბიჭი პატარა...  
— ძია, ვინ გინდა? ოთალი?  
ბულთზე წავიდნენ ყველანი:  
შენი ბებია თაფლო და  
ჩემი ბაბუა ლევანიც...  
დავლონდი, ჩავიმუხლავე...  
რა ძალა მქონდა, რა ღონე, —  
სტადიონისკენ გავქანდი  
უცნაურ ამბის გამგონე...  
და შევალწიე როგორღაც  
ხალხის ჯგროსა და რყევაში,

ბერის გეგნელი

ნახ. ელ. მაყაშვილისა



— რას გელაპარაკებოდა ის ხმაჩანლე-  
ჩილი კაცი, სად იწყებს მეცადინეობას?  
— კონსერვატორიაში... ასე სთქვა: კარგ  
ხმანებს კონსერვატორიაში ხმა დაეკარგათ  
და იქნებ ჩემნაირებს ხმა დაუყენონ!

ბურთს თამაშობდნენ ბალები, —  
ეჯიბებოდნენ ერთმანეთს  
წალვერის ბავშვთა ბალები...  
მიველ, სახლია მდუმარი,  
კარები გადარაზული...  
ეზოში დაფარფატებდა  
თმაშედლებილი ასული;  
„მკვლარი საათი“... ვიფიქრე,  
დავდუმდი, ხმა არ გავიღე...  
მან თითონ შემომიტირა —  
— დღეს ჩვენთან არის „მკვლარი დღე“!  
არ იცი საქმე რაშია?  
ჩამორჩენილხარ ძამია,  
მეც იქეთ მივეჩქარები,  
მიმეშურება ძალიან!  
ბაკურიანში ბრძოლაა,  
იქ არის მთელი წალვერი!  
დღეს ნახავთ „კურტურის თასის“  
თუ ვინ იქნება წამლები!  
შინ როგორ დაგვედგომება,  
როცა ბრძოლაა ფიცხელი?  
იქ შვილის შვილის შვილითურთ  
თაფლო წავიდა პირველი.

\* \* \*  
და ჰა, ჩამობის „კუკუშკა“  
თავდაღმართებზე ქაქანით,  
ნაძვის რტოებით მოურთავთ  
წალვერის მცირე ბაქანი.  
შემოაღწია სადგურში,  
შეიქნა ჭედვა, ძახილი!  
წალვერს რგებია თასი და  
განა საქმეა ადვილი?

\* \* \*  
არა, არ არის საშველი,  
ბურთს ვერ გავეჭვებ ვერსაით!  
ბურთს ეტრფის უწვერულგაშო,  
თუ დავრდომილა მკენესარიც...  
არა, საშველი არ არის,  
ხომ ნახეთ, როგორ ვეწამე!  
ბურთმა მაჯობა... რა მეთქმის,  
ბურთის ჭირი და კვენსა მე, —  
ორი ეტრფოდა ოჯახში,  
მეც შევიყვარებ მესამე...

კვირისი გაუკვირველი



სოფელ დგვრისის (სტალინის რაიონი) კოლმეურნეობის მე-  
ფრინველეობის ფერმაში 60 ფრთა ქათმის ნაცვლად—მხოლოდ ორი  
ქათამი ჰყავთ.

ნახ. კანდელაკისა



— საით მივშურებით, მეგობრებო?  
— სხვა კოლმეურნეობაში გადავიდეთ. თუ დღესვე თავს  
არ ვუშველეთ—ჩვენს საგვარეულოს გადაშენება მოელოს.

ნახ. დონისა



— ჩვენი რაიონის ახალი ექიმი კარგი მცოდნეა?  
— კი... შესანიშნავი თამაღობა სცოდნია.

### სახურაჟის რონგურაჟი

ცუდი მეზობლობა არ გვქონდა მე და მელიტონს. ამას ჰქონდა თავისი მიზე-  
ზი: ორივე მეორე სართულზე ვცხოვრობდით და, რაც მთავარია, ორივეს ცუდი  
ბინა გვქონდა და ერთმანეთი გვებრალებოდა. წვიმიან ღამეს, როდესაც ჩემი  
სახლის სახურაზე თქეში ჩამოდიოდა და მე და ჩემი ცოლი იატაკზე დამდგარ  
ტბორში ვბანაობდით, ორივე მელიტონზე ვფიქრობდით, რადგან იმ წუთებში  
ისიც ალბათ ჩვენს დღეში იყო...

ვცხოვრობდით ასე მე და ჩემი მეზობელი. მზიან ამინდში იოლად მივიდო-  
დით, ხოლო ავდრიაობისას—ხან კოლგით ვიფარავდით თავს წვიმისაგან, ხან კი  
საწოლქვეშ ვემალავდით მოხეტიალ წარღვნას...

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ერთხელ დილით მოულოდნელი უბედურება  
დაგვატყდა თავს: ჩვენს სახლს კიბე მოეგრა! სწორედ ის დრო იყო, როდესაც  
მე და მელიტონი სამსახურში წასასვლელად ვემზადებოდით. დრო დაყოვნებას  
ვერ ითმენდა. უცებ მოვისახრეთ გადავხტარიყავით და გადავხტით კიდეც...

დიდხანს ვსარგებლობდით მე და მელიტონი ამ პრაქტიკით. დახმარებისათ-  
ვის განცხადებით მივმართეთ მოლოტოვის რაიონის საბინაო სამმართველოს  
ყოველდღე ველოდით შევლას, მაგრამ ხოჯევანქში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ  
(სალომეს შესახვევი № 7), ყველაფერი ისევ ძველებურად მიდიოდა, ჩვენ კი არა-  
ვის ვაგონდებოდით.

ბოლოს, რაკი გავიგეთ საბინაო სამმართველოს ჩვეულება, გადავწყვიტეთ  
მორიგეობით გვევლო პასუხის მისაღებად, მაგრამ ეს ტვირთიც მე დამწვა კი-  
სერზე. მელიტონი ნიკრისის ქარებით იყო დაბუთული და მის მაგივრადაც მე  
ვიკისრე საბინაო სამმართველოში სიარული. ყოველ დილით, შუადღისას, საღამოს  
იქ ვიყავი ატუხული, მაგრამ ამაოდ...

ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო ჩვენი იერიშები საბინაო სამმართველოსთან  
მაგრამ სამამულო ომი დამთავრდა, ხოლო ჩვენს საბინაო „ომს“ დასასრული  
არ უჩანდა.

ახლა მინდა გიამბოთ, თუ როგორ „მოვიგეთ“ მე და მელიტონმა ეს ომი.  
ამ გაწამაწის დაწყების მეოთხე თუ მეხუთე წელს საბინაო სამმართველომ  
ბინის შესამოწმებლად და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად გამოგზავნა ინჟინერი  
გლინსკი. მან იმდენი „იმარჯვა“, რომ ჩვენი სახლის რემონტის ხარჯთაღრიცხვა  
მეოთხე თვეს საბინაო სამმართველოს წარუდგინა და მერვე თვეს რაიონული  
საბჭოს აღმასკომმა დაამტკიცა (დისტანცია მხოლოდ ოთხ-ოთხი თვე).

— გავიმარჯვეთ!—ალტაცებით მომამაზა მელიტონმა.  
— ნაღდად გავიმარჯვეთ!—მივუგე ნე და თვალებიდან სიხარულის ცრემლი  
გადმომცივიდა. მაგრამ დ-ხეთ უბედურებას! ახლა სარემონტო კანტორაში გავი-  
ჩხირეთ. დაუსრულებელი სიარული დილით, შუადღეს, საღამოს... დაპირება,  
ქლესაობა და ქოსატყუილობა... ისევ თავიდან დაიწყო ძველი ისტორია...

მე და მელიტონმა ბინის რემონტზე სამუდამოდ ხელი ჩავიქნიეთ და ჩვენს  
ბედს მივიწყეთ... ერთ დღეს, როდესაც სამსახურიდან ახალდაბრუნებულს მელი-  
ტონი მეორე სართულზე მხრებით ამყავდა, რაღაც ხმაური მომესმა. ეზოში შე-

მორახრახდა დამტვრეული ფურგუნი, რომელზედაც ხუთიოდე ფიცარი და დაახ-  
ლოვებით ამდენივე ჟანგბოდებული გატრეცილი თუნუქის ფურცელი ელაგა. თურ-  
მე ჩვენი სახლის სარემონტო „მასალა“ მოჰქონდათ. მას საშუალოთა მწარმოებე-  
ლი ვლადიმერ ცერცვაძე (იგივე ვალოდია) მოჰყვებოდა.

მელიტონმა უღვაწში ჩაიღიმა და მე გადმომხედა, თითქმის თვალებით მა-  
ნიშნა „გველირსაო“. მადლობის მეტი რა მეთქმოდა სარემონტო კანტორის მიერ  
ჩვენდამი ასეთ „ყურადღებისა“ და „დაფასებისათვის“ და ჩემი კოლეგის ღიმილს  
ღიმილითვე ვუპასუხე.

არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ გათვალისწინებული საშუალები სანახევროდ  
არ შესრულდა. არც იმაზე, რომ ძველი მასალა დურგლებმა ჩუმჩუმად გააცო-  
ცეს. მხოლოდ არ შეიძლება ორიხდენ სიტყვა არ მოგახსენოთ სახლის სახურა-  
ვის შესახებ.

იმ საბედისწერო დღეს, რა დღესაც ცერცვაძის ხელმძღვანელობით სახლის  
რემონტი „დამთავრდა“, ერთერთმა დურგალმა მე და მელიტონი დაგვიმარტო-  
ხელა და გვითხრა:

— აი, ძმებო, რაც არის ეგაა. შეიძლება რემონტი უფრო სხვანაირად  
გაკეთებულიყო, მეტი მარხვათი რომ გამოგეჩინათ. მეონი მიმიხედით, ნახვამ-  
დის!—გვითხრა და უმალ ადგილიდან მოწყდა. უკანმოუხედავად დაეშვა კიბალ-  
ჩიჩის ხევისაკენ და გაუჩინარდა...

მე და ჩემი მეზობელი გაოგნებულნი შევეშურებდით ერთმანეთს... სახლში  
რომ დაებრუნდი, ხაფანგში მომწყვდებულნი თაგვივით ბორგავდა ცოლი და გაჩე-  
ნის დღეს იწყებოდა. თურმე ახალდაგებული იატაკი ჩამსხვრეულიყო და შიგ  
გაჩხირულიყო ბედშავი, მაგრამ ესეც არაფერი...

ხოჯევანქში იცის ძლიერი ქარები. სწორედ რემონტის დამთავრების მეორე,  
თუ მეცამე დღეს მოვარდა ეს წყველი ქარი და მელიტონის ოთახის მხარეზე  
სახლს სულ ერთიანად ახადა სახურავი, ხოლო ჩემი ოთახის მხარეზე ოდნავ შე-  
დავთი გაავრცელა. თუნუქის ნაწილი სადღაც შოოს გადასტყორცნა, ხოლო  
ნაგვრალად დარჩენილი ფურცლები აკეცა და მიღრიც-მიღრიცა, ჟღარუნნი  
დააწყებინა.

გრილობს ქარი ხოჯევანქში დღენიდაგ და ჟღარუნობს სახურავზე ჟანგბო-  
დებული თუნუქი, რომელიც არც დღე გვაძინებს და არც ღამე. ჩემმა ცოლმა  
მას „სახურავის ჩონგური“ შეარქვა. სწორედ ამ „ჩონგურმა“ წაახდინა მელიტო-  
ნისა და ჩემი მეზობლობა. იგი ყოველდღე ყურში ჩამჩიინებს:

— თუ დმკრთი გწამს, მიხსენი გასაკვირისაგან, გადააგდე მე „ჩონგური“,  
თორემ ღამით ბავშვს მოსვენება არა აქვს და ცოლი გამიკვირებულდაო.

მე კი გახვებ ვჯიუტობ. მას მანამდე ვაჟღარუნებ სახურავზე, სანამ რემ-  
კანტორის მუშაკები მათ მიერ აწყობილ „ინსტრუმენტს“ „ტკბოლად“ არ  
დაამღერებენ.

უ. ელიზბარაშვილი




97-103  
საქართველო  
ვაჟიფხვანი

# მარჯვენა კარგად იხის-რას აკეთებს მარცხენა

ნახ. მ. ოთაროვიძე

აშშ სენატმა დამტკიცა ტრუმენის კანონ-პროექტი საბერძნეთისა და თურქეთის რეაქციული მთავრობებისათვის სესხის მიცემის შესახებ.



„მცირე“ დანაშაუნი უხვი მოწყალებისათვის.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, ვრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკიი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ბელმოწ. დასაბ. 1947 წ. 5/VI. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28, გამოც. № 60 შვკ. № 763. ტირ. 7500 უთ 02048